# ჩვენი

№ 31

კვირა, 9 აგვისტო 1909 წ.

გაზეთის ფასი: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. [illegible]

[illegible] Тифлисъ, типографія „Сорапань“, Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


6 აგვისტოს მეტეხის ციხეში მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს მეუღლე განსვენებულისა ალექსანდრა სიმონის ასული და შვილები: მარგარიტა, ნორა, სონა და ვალენტინა.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 9 აგვისტოს. დილის 9 საათზე გამოასვენებენ ბინიდან (მე-2 თუმანოვის ქ. № 16) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. აქედან წირვა-პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

6 აგვისტოს მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეტეხის ციხეში მე-2 სახ. დუმის ყოფილი დეპუტატი

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი

რასაც ღრმა მწუხარებით უცხადებენ ყოფილი თანამშრომლები გაზ. „ჩვენი აზრი“-სა აუწყებენ ნაცნობ-ამხანაგებს. მიცვალებულს გამოასვენებენ 9 აგვისტოს დილის 9 საათზე თუმანოვის ქუჩიდან № 16, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და აქედან წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე.

---

6 აგვისტოს მეტეხის ციხეში მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მე-2 სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმა მწუხარებით აცხადებენ განსვენებულის ამხანაგები. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 9 აგვისტოს. გამოსვენება ბინიდან (მე-2 თუმანოვის ქუჩა № 16) დილის 9 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. წირვა-პანაშვიდის შემდეგ—გასვენება კუკიის სასაფლაოზე.

---

ძმები: პროკოპი, გიგო, ვანო, და დები: ნუცა, ეკატერინა, ევგენია, ნინო და ოლღა მოსეს ძენი და ასულნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-ამხანაგებს ძვირფასი, მათი მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატის

## სევერიანე მოსეს ძე ჯუღელის

უდროოვთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 9 აგვისტოს. ცხედარს გამოასვენებენ დილის 9 საათზე (თუმანოვის ქუჩ. № 16) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და წირვა-პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---


გაიხსნა ახალი

თფილისის

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ზ. ა. ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ზ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიახამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ს. მუხხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—32


---

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

### სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო

**ქუთაისი.** გული მოგვიკლა თავისუფლებისათვის მებრძოლ სევერიანეს უდროოთ დაკარგვამ

**ქუთაისელი ნოქრები.**

—

**ბათომი.** ღრმათ დამწუხრებული ვართ ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის დაკარგვით:

ლავრენტი ხინთიბიძე, ლ. დ., კაპიტონ გოგოლაძე, მიხეილ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, ვასილ მეხრიკაძე, ნოე წულაძე, ივანე ჩხაიძე, პავლე ურუშაძე, ვიქტორ ჭედია, ნიკოლოზ გაბუნია, გერასიმე გორშლაძე, კალაძე, ქანთარია, ილაკრი ნასრია, ირაკლი გეგიაძე, მიქელაძე, სერგო კუპარაძე, ვასილ ბეშკენაძე და მოსე წეროძე,

—

**ქუთაისი.** მდუღარე ცრემლებს ვღვრით უდროოთ დაკარგულ, დაუღალავ მებრძოლ სევერიანეს გარდაცვალების გამო.

ქუთაისელი მუშები.

—

**ოზურგეთი.** თქვენთან ერთათ ვგლოვობთ დაუღალავ მებრძოლ სევერიანეს დაკარგვას.

ივანე დღონტი, სიმონ ცხომელიძე, გერმანე ურუშაძე, მიხეილ ცეცხლაძე და გიორგი ბერეჟიანი.

—

**ქუთაისი.** დღეს ადგილობრივ სობოროში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დაუღალავ მებრძოლის მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის სევერიანე ჯუღელის სულის მოსახსენებლათ.

ქუთაისის ამხანაგი მუშები.

—

**სურამი.** მუშათა კლასს მოაკლდა სიტყვით და კალმით დამცველი მისი ინტერესებისა. ცხარე ცრემლს ვაფრქვევ ძვირფას სევერიანეს უსულო გვამს.

ევა.

—

**ფოთი.** მოუსვენარმა ცხოვრებამ და მრისხანე სატუსაღოს კედლებმა აისრულეს გულის წადილი. შავმა, გაუმაძღარმა სამარემ უნდა ჩანთქას შენი გვამი, ძვირფასო სევერიანე! შენ მოკვდი, მაგრამ არ მომკვდარა შენი პატიოსანი სახელი, ის სამარადისოთ აღბეჭდილია ჩვენს გულში.

ფოთელი ამხანაგები.

—

**ფოთი.** ღრმა მწუხარებით ვგლოვობთ მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლ სევერიანე ჯუღელის დაკარგვას.

სტამბის მუშები.

—

**ბორჯომი.** ვუერთებ ჩემს ღრმა მწუხარებას ნათესავ-მეგობრებისას, ამხანაგ სევერიანეს დაკარგვის გამო.

ივანე ხმალაძე.

—

**ქუთაისი.** ღრმათ დამწუხრებული ვართ თავდადებულ მებრძოლის, ძვირფას სევერიანეს დაკარგვით.

ქუთათური ამხანაგები

—

**სურამი.** ისედაც დაკოდილ გულს ლახვარივით მოხვდა ძვირფას ამხანაგ სევერიანეს დაკარგვის ამბავი. ვსტირი მას.

იასამანი

—

**ფოთი.** განუსაზღვრელ მწუხარებაში ჩაგვაგდო მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლის, მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის, სევერიანე ჯუღელის უდროვოთ დაკარგვამ.

ფოთის მუშები

—

**ს. ხიდისთავი** (გურია). გულ დაკოდილნი დავქვითინებთ, უდროოთ დაკარგულ, თავდადებულ მებრძოლის, ძვირფას სევერიანე ჯუღელის გაციებულ გვამს. ვსტირით მის დაკარგვას.

ნიკო გეგილაშვილი, ემელიან ლომთათიძე, სერაფიონ რამიშვილი, ლევანტი კვაჰანტირაძე და სხვ.

—

**ბაქო.** მოსკოვ-კავკასიის ამხანაგობის ბალახანის მექანიკურ სახელოსნოს მუშები ღრმა მწუხარებას ვაცხადებთ მეორე დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის წევრ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვის გამო.

—

**ბორჯომი.** ღრმათ დაგვამწუხრა მოულოდნელმა ამბავმა ძვირფას, უანგარო მუშაკის და მებრძოლი ამხანაგის სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების შესახებ. გთხოვთ გადასცეთ განსვენებულის ოჯახობას ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა.

ევგენი გეგეჭკორი.

—

**კრასნოიარი** (ასტრახანის გუბერნია). მწარეთ ვსტირით ძვირფას ამხანაგ სევერიანეს დაკარგვას.

ისიდორე რამიშვილი, ფილიპე მახარაძე, ურუშაძე

—

**ბორჯომი.** ღრმათ შეშფოთებულნი ვართ ამხანაგ სევერიანეს დაკარგვით.

ბორჯომის მუშების მონდობილობით, ივანე მურდალაშვილი.

—

**ვარვარინო.** უღრმესი მწუხარებით ვგლოვობთ და დავსტირით ძვირფას სევერიანეს.

კოწია და თამარა ჯაფარიძე, ელისაბედ ელიავა, პეტრე და მარიამ გელეიშვილი, მარიამ ჯაფარიძე, ვერა წულუკიძე, არსენ მამულაიშვილი, პეტრე ქავთარაძე, შალვა ელიავა, პიპინია მიქელაძე.

—

**ყვირილა.** მწარე ცრემლებით დავსტირით ძვირფას ამხანაგ სევერიანეს უდროვოთ დაკარგვას.

ყვირილის ამხანაგები

—

**სურამი.** დიდათ დამამწუხრა საუკეთესო მეგობარის სევერიანეს უდროვოთ სიკვდილმა.

კონსტანტინე კანდელაკი.

### ც ე რ ი ლ ე ბ ი.

მწარეთ დავსტირით მუშათა კლასის ინტერესებისთვის თავდადებულ მებრძოლ, მეორე დუმის ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის უდროვოთ დაკარგვას.

ი. ოდიშაშვილი, სილიბისტრო ზაქარეიშვილი, ლადო თმიაძე და რაჟდენ ჯღამაძე.

— გული დაგვითუთქა ძვირფას მასწავლებლის, მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის, სევერიანე ჯუღელის უდროოთ გარდაცვალებამ.

თფილისის ლუდის ქარხნის მუშათა ერთი ნაწილის მონდობილობით. მელიტონ.

— მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევთ თავდადებულ მებრძოლ მეორე დუმის ყომის ყოფილ დეპუტატ სევერიანე ჯუღელის უდროვოთ დაკარგვის გამო.

თფილისის ხაპარიკმახეროების მუშათა მონდობილობით პ—რე გ—რი.

—

**ბაქო.** თვალებს არ ვუჯერებ, როცა ვკითხულობ დეპეშას: „სევერიანე გარდაიცვალა“. გულ დათუთქული ვგლოვობ მის უდროვოთ დაკარგვას.

ლბლლბ.

— თავზარი დაგვცა ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის, დაუღალავი მებრძოლის და საუკეთესო მოღვაწის მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილ დეპუტატის სევერიანე ჯუღელის უდროვოთ დაკარგვამ. გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ მის დაობლებულ ოჯახობას.

თფილისის ტრამვაის ელექტრონის სადგურის მუშები.



სევერიანე ჯუღელი.

დღეს მეორე დეპუტატს მეორე სახელმწიფო დუმისას ვაბარებთ მიწას. შარშან, 17 ნოემბერს კურსკის საპყრობილეში ირ. წერეთლის და გ. მახარაძის ხელში დალია სული არჩილ ჯაფარიძემ, წელს 7 აგვისტოს, მეტეხის ციხეში ორი-სამი დღის ავათმყოფობის შემდეგ საუკუნოთ გამოეთხოვა წუთი-სოფელს სევერიანე ჯუღელი. არჩილი იყო შეპყრობილი უკურნებელი სენით, სევერიანე კი სრულიათ ჯან-საღი იყო, მაგრამ ციხის ყოვლათ აუტანელმა პირობებმა ორივე თანაბრათ შეიწირეს. სამწუხარო და სავალალოა ბედი ჩვენი დეპუტატებისა; უზომო სევდა და ნაღველი აწვება ყველა ჩვენგანს გულზე, როცა იგონებს ირ. წერეთელს, გ. მახარაძეს, ბ. ლომთათიძეს და სხვებს. და ეს სევდა და მწუხარება მით უფრო ღრმა იდგამს ფესვებს, რომ ის ხალხი, ის საზოგადოება, რომელმაც ისინი გაგზავნა თავის წარმომადგენლათ, ჯერჯერობით მათ ვერაფრით ვერ უდვილებს მწარე სიცოცხლეს. ყველა კითხვითი ნიშნათ არის გადაქცეული: როდემდის უნდა იქნას ასე, ნუ თუ ამას დასასრული არ უჩანს? ჯერ ერთი მსხვერპლი, მერე მეორე... ვაი თუ კიდევ?!.... არა, არა, კმარა ესეც! მაგრამ ეჭვი მაინც არ გვშორდება, ის გამჯდარია ძვალსა და რბილში და მუდამ ერთსა და იმასვე გვეუბნება: ჩვენი დეპუტატები საპყრობილეში ვერ გაძლებენ, მათი ავებულება ძლიერ სათუთია... საჭიროა რამე ნაირათ მათი ხსნა, თუ არა... მერე რისთვის? რა ჰქნეს, რა დააშავეს? ისინი ხალხმა აირჩია სახელმწიფო დუმაში, მათში ხედავდა საუკეთესო გამომხატველებს თავის ლტოლვილებათა, მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა, მათში ეგულებოდა თავგანწირული მებრძოლი საუკეთესო მომავლისთვის. ხალხის იმედები კიდევაც გაამართლეს, თავის მოვალეობა პირნათლათ შეასრულეს, რასაკვირველია, არა შეთქმულობაში მონაწილეობის მიღებით, როგორც მათ დააბრალეს და რისთვისაც მათ კატორღაში თავი უკრეს!! რისთვის უნდა ეკარგოდეს სამშობლოს რაღაც მოჭორილ, მოგონილ ბრალდებებისათვის ნიჭიერნი, საამდროვოთ მომზადებულნი, ხალხის დიადი მომაგენი, ხალხის ჭირის და ლხინის მოზიარენი? არც ერთ კითხვაზე პასუხს არ იძლევიან, პასუხს იძლევა, თუ გნებავთ მხოლოდ საპყრობილე! „ცოცხლები მეო, მკვდრები თქვენო“.

---

### სევერიანე ჯუღელის ხსოვნას.

—

„ბედნიერს მტრები უკვდება, უბედურს მოკეთეებიო“, უთქვამს ხალხის სიბრძნეს და ეს ზედ გამოჭრილია სწორეთ თვით ხალხზე, რომელიც ცხოვრებას თავის ზურგით ატარებს. შავ-ბნელი დღეები ყველაზე მეტათ მას უმწარებს სიცოცხლეს, ამ ქვეყნის ყველა სატანჯველი და უბედურება მისთვისაა მოგონილი და დაწესებული. ციხე-ციმბირი, ეს კაცთა შემაძრწუნებელი და გულის დამწველი, მის შვილებს უღებს ბოლოს, მის გულშემატკივართ ხვევს თავის ბნელ სუდარაში.

მსხვერპლი..... აი რას თხოულობენ მისგან. მსხვერპლი საერთო აღფრთოვანების და გმირულ ბრძოლის დროს, მსხვერპლი საერთო გულგატეხილობისა და შავ-დღიანობის ხანაში. აი მისი ხვედრი.

აბა გადახედეთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი მუშა ხალხის ბედს, რამდენი მსხვერპლი შესწირა მან უკვე იმ საკურთხეველზე, რომელსაც საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლა ეწოდება.

რომელი ციხეა—მისი მწუხარება არ ენახოს, რომელი სასაფლაოა—მის შვილთა გვამებით არ ავსილიყოს?

და აი, ამ მსხვერპლთა [illegible] ემატება ერთი—ახალი და დიდი მსხვერპლი, კიდევ აკლდება მუშათა ენერგიის თავის საუკეთესო გამომხატველთაგანი. ესაა მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი სევერიანე ჯუღელი.

ვინ იყო იგი?

უბრალო გლეხებში გაზრდილი, მშრომელთა ცხოვრებას ბავშვობიდანვე შეჩვეული და მისი ერთგული მოსამსახურე. სიყმაწვილე მან იმ შკოლაში გაატარა, სადაც მისგვარ ღარიბ-დატანჯულთა შვილები იზრდებიან; იმ სასულიერო სასწავლებელში, სადაც ყველაზე მეტია ბნელ ძალთა მოქმედება და მათი მძიმე მუხრუჭი. ბევრს ღუპავს იგი, მარა ვინც გადურჩება — ის უკვე გამოწრთობილია ცხოვრებასთან ბრძოლაში; ბევრს უხშობს გონებას და უჩლუნგებს გრძნობას ადამიანობისას, მარა ვინც შეინარჩუნებს სპეტაკ აზრს და წრფელ გრძნობებს, ვინც გამოივლის ამ მკაცრ გამოცდას—ის სამუდამოთ შეურყეველი დარჩება. ასეთი იყო სევერიანე, ასეთი იყო მისი ბუნების სიძლიერე. მისი ნორჩი აზრი ვერ შეეგუა ამ სასტიკ რეჟიმს, მისი ამაყი ბუნება ვერ დაემორჩილა მას და ამიტომ იძულებული გახდა გაცლოდა. ის სტოვებს მას და ცხოვრების შუა გულში თამამათ ეშვება თავისებრ გაჭირვებულ მოძმეთა დასახმარებლათ.

ჭირში გამოზდილი, ყველა ჭირში მყოფთ უმეგობრდება და მათ ცხოვრებაში გზის გასაკაფათ იწვევს. ახალგაზრდა, ნორჩი ყმაწვილი იმ თავიდანვე დგება იმ მცირე ჯგუფში, რომელმაც ხალხისთვის გადასდო თავი, მის ინტერესების დაცვას შესწირა თავის ძალა და ენერგია. იგი მათთანაა დაუღალავათ, შეურყევლათ.

ცხოვრების გაჭირვება აქაც არ აცილებს მას თავის ბასრ კლანჭებს, მარა გაჭირვებაში გამოწრთობილს რა უნდა დააკლოს, უკუღმართმა პირობებმა რა გზა უნდა შეაცვლევინოს?

მე პირველათ შევხვდი მას ქუთაისში 1902 წელს. ის მაშინ უკვე „პოლიტიკური“ იყო, და პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაძებართა სასტიკი თვალყურის დევნებას არ შორდებოდა, მარა ის ოდნავათაც არ შეხრილა. გარეშემო „საზოგადოებას“ კიდევ არ ესმოდა მისი, აუგებდა და გმობდა მის

ასეთ „შენიშნულ“ ცხოვრებას, ჩირქ-მოცხებულათ თვლიდა პატიმრათ ნამყოფს, ციხეში ნაჯდომს, მარა ვერც ამან გადაუბრუნა მას გული, რომელიც წმინდა აზრით და გრძნობით იყო სავსე.

იგი მთელი საზოგადოების გულცივობას და მწარე დაცინვას ღიმილით იტანდა და ჩვენ, ახალგაზრდებს თავის იდეალებისკენ გვიწვევდა. მისთვის ბედნიერება იყო, როცა ჩვენც მასთან ერთათ ამ ქვეყნის უკუღმართობასთან გამკლავებას მიზნათ ვისახავდით. იგი გზას გვიჩვენებდა და ამით თავის „კვალს“, თავის ცხოვრების მიზანს ემსახურებოდა. მისი ტკბილი, მგრძნობიარე სიტყვები, თბილი გრძნობით და მტკიცე რწმენით სავსე თვალები ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელზე და ჩვენც გვიტაცებდა. მისმა სიტყვებმა გამიტაცეს მეც და თფილისისკენ გამაწევინეს, რადგან სწავლის წყურვილი აღმიძრეს. მას შემდეგ ხშირათ ვხედავდი მას, სანამ შორეულ ქვეყნებისკენ არ უკრეს თავი. იგი ყოველთვის ისეთივე იყო, მის გულში ოდნავათაც არ შეცვლილა წინანდელი გრძნობა, არ მინელებულა ანთებული ცეცხლი. ციმბირის ყინულებიდან დაბრუნებული, ოჯახით და წვრილი შვილებით დატვირთული იგი მაინც თავის საქმეს განაგრძობდა. მისი ბუნება თითქო შეუსისხლხორცდა ხალხის სამსახურს. ის ამხანაგთან ერთათ ცხოვრებდა, მისი ავით და კარგით სულდგმულობდა. ის არ იყო გარედან მოსული, მხოლოდ გონებით დაახლოვებული ხალხთან; არა, ის მათთან შეზრდილი იყო, მათი წრიდან გამოსული. აი ასეთი იყო ის, რომელსაც ცივ სამარეს ვაბარებთ.

მისი გრძნობიარე გული და სული გაყინულია! არა, ეს წარმოუდგენელია. ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ იგი აღარ არსებობს, ვინც კიდევ გუშინ პირად საფრთხესა და საშიშროების მიუხედავათ, ნამდვილ თავდავიწყებით ემსახურებოდა მუშათა საქმეს. დავისვენებო, ამბობდა ის, როცა მეტეხისკენ უქნეს პირი. ის იქ ელოდა მოსვენებას აქ გამუდმებულ შრომა-ჯაფისაგან, იქ, ოთხ კედელში აპირებდა გამოკეთებას, იმდენათ მძიმე იყო მისი სამუშაო. და... [illegible] რა ვაი, რომ დაისვენა სამუდამოთ! დახუჭა თვალი და აღარ გახელს, დააყუჩა გული და ველარ აამოძრავებს, დაასვენა გონება—მარა ის ველარ გადმოგვცემს კვლავ თავის გონიერ აზრებს. მშვიდობით დაუვიწყარო მეგობარო! მშვიდობით ჩემო სევერიანე! მე მხოლოდ დროებით გემშვიდობებოდი, როცა დღჩების ქდარუნით მეტეხისკენ გაგზავნას გიპირობდენ. „მშვიდობით“, მოვისვენებ! იყო შენი პასუხი და თურმე სამუდამოთ მემშვიდობებოდი! იქ საბოლოოთ დავშორდით ერთმანეთს! მარა ჩემი გული მაინც ვერ მოგიშორებს, ჩემი გრძნობა მაინც ვერ აღმოფხვრის შენს ხსოვნას. შენი სპეტაკი სახე არ წაიშლება ჩემში და მუდამ თან გატარებ იმ იდეალებთან ერთათ, რომელთაც შენ ემსახურებოდი.

მშვიდობით, მშვიდობით ამხანაგო სევერიანე.

რაჟდენიძე.

### ს. ჯუღელის ხსოვნას

—

უგავიდებს გქებ, უგავ დებს,
მათი შეკვრა მსურს კონათა,
უნდა მეგობარს მიუძღვნა
კავშირის მოსაგონათა!
მაგრამ ვაიმე, იგი კი
შავმა გაჰყარა გრძნობას,
და რადის აქნევს დღეს მკვდარი
ჩემს ალერსს, თანაგრძნობას?!
რომ შემძლებოდა—სულით მობრძავს
გულში ჩავკვროდი, მეტირა,
—სიკვდილის წუთში შენთან ვარ,
ძმაო, არ გტოვებ—მეყვირა;
რომ შემძლებოდა—ნიავი
შემომეხვია მისთვის გარს,
სიმწარის ოფლი ამ ხელით
მოსცილებოდა მეგობარს;
მაშინ... ოხ მაშინ სიამეს
ვინ მომტაცებდა გულითა,
ცას მივსწვდებოდი უსაზღვროს
დამშვიდებული სულითა!
დღეს მე უგავიდებს დავქებ,
მას კი ვერ არგებს ბადნარიც,
მისთვის ნაღვლებს სვამს გულის თქმა,
ნაღვლში სცურავს მთლათ ქნარიც!..

რ. ლეჩხუმელი.

### მწუხარება.

„შავ კუბოში წევს უღვთოთ შეკრული
არწივი ცისა, თავისუფლება“...
იასამანი.

ოხ, ისევ ისე შავ-ბნელი ჯანყი
ჩამოსწოლია მიდამო არეს
და შესაზარი დრუბელი აკრავს
ცისა ტაიჯსა, მზეს მთიებარეს.
უინვით გათიშეკი მთა-გორათ შორის
მძაფრი გრიგალი მიმოსრიალებს
და „სულთათნისა“ ურცხვათ უმღერის
არეს გათიშულს, განატიალებს.
დუხჭირ ცხოვრების ვრცელსა გელზედა
სიცილ-ხარხარი გაჰქვს ბედზებულს
და რასაც წმინდის რამ დიდი აზის
ბიდწავს, ასხურებს შხამ-ბალღამს და გესლს.
არსაიდან ხსნა! გმირული ხმები
აღარ ისმიან მამაც გულების,
მხოლოთ-და მარტო ქვითინ-ტირილი
ერთვის ამ დამეს დანაგრულების.

დ. თურდოსპირელი.

### სევ. ჯუღელის ხსოვნას

—

კვლავ გლოვის ზარი
მოარხევს არეს,
თვალნი აფრქვევენ
ცრემლებს მდუღარეს.

—

სულს ადმოთუთქულს
აღმოხდა კმობა,
შეირყა რწმენა...
ვიგრძენ ობლობა.

—

ისეთ ხნეულს, ბრძოლაში მოდდილს
საუკეთესო, ტანჯულ ხალხის შვილს
გული დაუწყნა საკანმა შავმა,
ნორჩი სიცოცხლე შთანთქა ს ფლავმა.

—

კვლავ გლოვის ზარი
მოარდევს არეს
უელდა დასტირის
მოძმის სამარეს.

—

ძმებო, მუშებო იგლოვეთ მსხვერპლი
დილეგ ჯურღმულში აღმოხდა სული,
მან გატანჯულ ხალხს შესწირა უელდა
თვისი სიცოცხლე და... სიყვარული!..

[illegible]
ხმა მიეც ზარსა...
კრძალვით ვმთხვიე
წმინდა ცხედარსა.

—

მოკვდა წამებით!.. დეე, მის ხვედრმა,
„ბრძოლათ იწვიროს ნატკენი გული;
დე თვის ხორც-ძვლებით ჰკვებონ ყამირი,
შემდეგ აღვილათ გაივლის ხნული“.

ვ. ქურიშვილი.

### სევერიანეს ხსოვნას.

—

„ვერა ვერ მომდრეკს, ვერ შემაშინებს
შესაზარელი აგსულით ხარხარი,
მზათ ვარ გადვკოთის მთამდე ისინ ვზიდო
უდრტვინველათა წამების ჯვარი.
ვერ შემაშინებს—თუნდ მომესიოს
გააფთრებული მტრის ლეგიონი,
მრისხანებითა თავს დამტეხდებო
ვით შექა-გრგვინვა მძლავრ სტიქიონი.
ვასაც ვეტრფოდი, ვეთაყვანოდი
კვალინდებურათ ვემსახურები
და სიმართლისა სამსხვერპლოზედა
წმინდა ზვარაკათ შევეწირები.
იმედიანათ ველი განთიადს,
რომ აწვევა გაჭივანტავს წყვდიადს
და ბნელ ძალთაგან განაწირებსა
უხვათ სტუმრებნდა ისარ-ხიშტებსა“.
ასე მღეროდა მებრძოლი იგი,
რომ შენატრიდა მომავალს ნეტარს
და ბნელ საკანშიც გამომწყვდეული
გმირი თვის მტერსა დასცემდა თავ-ზარს.
მაგრამ ვაგლახათ ძალიან მალე
ფრთა შეაკვეცა მისწრაფებებსა,
სულით ძლიერი ხორცით დასუსტდა
და გამოკლდა ძმა მეგობრებსა.
მოკვდა მებრძოლი—ვისი ტკბილი ხმა
გულს იტაცებდა, ახალისებდა
და მომავლისა სამეუფოსათვის
საბრძოლველათა მოიწოდებდა.
მოკვდა მებრძოლი—მხოლოდ სხეულით,
სულით კი იგი სულაც არ კვდება,
საქმე-სადიდნი მისნი საქმენი
ჩაკრულით ხსოვნაში აღიბეჭდება.

დ. თურდოსპირელი.

### უკანასკნელი წუთები
(სევ. ხსოვნას.)

სიცხისაგან გამხმარი ენა ხახას მიჰკვრია... მიბნედილი თვალები უაზროთ მისჩერებია სატუსაღოს მრისხანე კედლებს... მხოლოდ ავათმყოფის მძიმე სუნთქვა არღვევს სამარისებურ სიჩუმეს. გარშემო სდუმს ყოველივე... დერეფანში, თითქო კუბოს ლურსმნებს აჭედებო, გაისმის ზედამხედველის მძიმე ნაბიჯის ხმა. სდუმან სატუსაღოს მრისხანე კედლები.. ისინი ბევრი ტანჯვა-წამების მოწმე არიან... ისინი შეჩვევიან ასეთ სანახაობას... ხანდისხან სოროდან ამოძვრება პატარა თაგვი, ის თამამით გამოდის კამერის შუა, თითქო გრძნობს ხელის შემძლელი არავინ ყავსო. აი ის დაცუცქდა უკანა ფეხებზე, წინა ფეხები ისე შეათამაშა, თითქო ულვაშებზე გადისვა და ყურებ გაცქვეტილი ავათმყოფს გადახედა. თითქო გაიღიმა, თითქო დასცინა, „აბა თუ შეგიძლია ეხლაც ადექი და გამომიდექიო“, უცბათ პირი დაავლო პურის ნამცეცს და თავის სოროსკენ წაცუნცულდა. ავათმყოფი შეინძრა, თავი გააქნია, თითქო ბუზებს იგერებსო და ხელები კედელს მიაწყვიტა.

— წყალი დედა!—ძლივს-ძლივობით ამოილუღლუღა მან და გამხმარი ტუჩები გააცმაცუნა.

ეს მისი ამონაკვნესი მხოლოდ სატუსაღოს შავ კედლებს მოხვდა და იქვე ჩაკვდა.

ავათმყოფი კვლავ შეინძრა. მისი გახურებული თავი სხვადასხვა ფიქრებს შეუპოჰავს. აი, ის ხედავს თითქო პატარა ბავშვია, დედის კალთაში ტკბილათ სძინავს, დედა სიხარულით დასცქერის მას და ტკბილის ნანათი უტკბობს ძილს. აი, გამოეღვიძა მას და დედის ძუძუებს ალერსი დაუწყო. დედა აღტაცებით კოცნის პატარას, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. პატარა უსაზღვრო სიამოვნებას გრძნობს, ბედნიერია.

— დედა წყალი!—ისევ ამოიკვნესა ავათმყოფმა და ხელი გაუწოდა, თითქოს ჩამორთმევა უნდაო.

კვლავ სამარისებური სიჩუმეა.

— დედა მწყურია!—კვლავ გაისმა ავათმყოფის მწარე კვნესა.

ხმა არვინ გასცა.

მან თვალები დააჭყიტა, წამოიწია და გამოიხედა: მის თვალებს მხოლოდ სატუსაღოს მრისხანე კედლები მოხვდა. მან [illegible] და კანკალით დაეშვა ბალიშზე.

— რათ ვკვდები!—ამოიგმინა მან—მარტოთ მარტო, უპატრონოთ, ჩემი პატრონი მხოლოდ ეს ოთხი უსულ-გულო კედელია. დედა! დედა!—სადა ხარ ჩემო საბრალო დედავ! რატომ არ ხარ ჩემს ახლოს, რატომ არ მიმიკრავ შენს მშობლიურ გულზე? რატომ არ გამიგრილებ ჩემ გახურებულ შუბლს?! რატომ არ მომწმენდ სიმწრის ოფლს?! დედა! არ გრცხვენია ასე უპატრონოთ დამტოვე შენი საბრალო შვილი?! გახსოვს, დედი, როგორ უდარდელათ მეძინა შენს კალთაში, შენს ტკბილს ძუძუებს მაგრათ ვეკროდი, უსაზღვრო ნეტარებას ვგრძნობდი? გახსოვს, როგორ მშობლიურ გატაცებით დამცქეროდი შენს პატარას და ტკბილი ნანათი მიტკბობდი სულსა და გულს? განა დაგავიწყდი დედა? რატომ ახლოს არ მეკარები? დაგავიწყდი განა? დედა! აი როგორ გამხმარი მაქვს ენა, მომაწოდე წყალი რომ გავიგრილო ჩახრაკული ყელი. არ გესმის დედა? მოდი დედა, მომწმინდე სიმწრის ოფლი, მითხარი ნანა, მიმიკარ გულზე, დამიტკბე უკანასკნელი წუთები.

ავათმყოფმა კამერას თვალი მოავლო.

— არა, რას ვბედავ, დედა, შენ აქ არა ხარ! შენ არ გესმის შენი საბრალო შვილის მწარე კვნესა! შენ არ შეგიძლია დაუტკბო მას უკანასკნელი წუთები. დიდი ხანია შესწყდა შენი მშობლიური გრძნობით სავსე გულის ფეთქა. ის ცივმა სამარემ ჩაყლაპა. მე დედა აღარა მყავს. შენ სადა ხარ ჩემო საყვარელო არსებავ? შენ, რომელმაც შეგწირე ჩემი სული, გული, მთელი ჩემი არსება? შენ, რომელიც მიყვარდი გატაცებით, შენით ვსულდგმულობდი, შუაზე ვრყოფდით ჭირსა და ლხინს, შენ რატომ არა ხარ მაინც ჩემს ახლოს, რომ დამიამო მწარე ტკივილები? სადა ხართ მეგობარ-ამხანაგებო,—რომლებთანაც ერთათ ვეწევოდი ცხოვრების მძიმე უღელს, რომლებთანაც ერთათ სიხარულს და სიმწუხარეს არა ერთხელ აუტოკებია ჩემი გული... რატომ არ მესმის თქვენი მეგობრული სიტყვები?!

ავათმყოფმა ბრაზიანათ თავი გააქნია და თვალები ცრემლიერით აენთო.

— არა, თქვენ აქ არა ხართ. აქ მე ვარ მარტოთ, უპატრონოთ. ჩემი დედ-მამა, ჩემი მეგობრები მხოლოდ ეს შავი კედლებია. მათ ესმით ჩემი მწარე კვნესა. ჩემი დედ-მამა, მეგობარ-ამხანაგები სატუსაღოს ზედამხედველია, რომლის გარინდებულ სახეს ოდნავათაც ვერ სცვლის ჩემი ტანჯვა-ვაება. მე აქ მარტოთ ვარ. აქ, ამ მყრალ კამერაში უნდა დავლიო უკანასკნელი დღენი. ვერ ვეღირსო მშობელი დედის ალერსს, ვერ გავიგონო მეგობარ-ამხანაგების ტკბილი სიტყვები. მოვკვდე ისე, როგორც უპატრონო, ყველასაგან მივიწყებული!! აი იქ, კუთხეში წყალი სდგას, ჩემს ახლოს არავინ არის, რომ მომაწოდოს ის, დავეწაფო და გავისველო ჩახრაკული ყელი; ჩემს ახლოს არავინ არის, რომ შუბლზე ხელი დამადოს და უკანასკნელათ დამიხუჭოს თვალები, მე კვდები, მარტოთ მარტო. ერთათ ერთი სულდგმული ჩემს ახლოს აი ის თაგვია, რომელიც სარგებლობს ჩემი უძლურებით და თავისუფლათ დაცოცავს ჩემს ახლოს. თაგვო! თაგვო! შენ მაინც მოდი ახლოს, ნუ გეშინია, მოდი მითხარი რამე, გამეცი ხმა, მანუგეშე, მომეცი სიცოცხლის იმედი. დამარწმუნე, რომ ასე უპატრონოთ არ ამომხდება ტანჯული სული, რომ კიდევ ვიგემებ თავისუფლებას, კიდევ ვეღირსები ტოლ ამხანაგების ხილვას. არაფერი არ ესმის. ის ლუკმის მოტაცების სურვილს მთლათ შეუპყრია. აი, იპოვნა ნამცეცი და სოროსკენ გააქანა. მაშ, შენ მოდი სიკვდილო! მოდი ჩქარა, მიმიკარ შენს გაყინულ მკერდზე და დამავიწყე ყველაფერი. მოდი, რაღას მიყურებ! მე მზათა ვარ ყველასაგან მივიწყებული, სულით მობრძავი.

უცბათ გასაღების ჩხრიალი მოისმა, მძიმეთ გაიღო კარები და კამერაში ზედამხედველი შემოვიდა. მის გარინდებულ სახეს უსულ-გულო ადამიანის ბეჭედი აზის.

— შენა ხარ სიკვდილო?—წამოიძახა ავათმყოფმა—მაშ, მოდი ჩქარა!

— ნუ ხმაურობთ, წესიერებას ნუ არღვევთ.—მრისხანეთ მიმართა ზედამხედველმა, ულვაშებზე ხელი გადაისვა, ხმალი გაისწორა და ისევ დერეფანში გავიდა.

ავათმყოფს ხმა არ გაუცია. მან თვალები დახუჭა, ის მთლათ გაიტაცა ფიქრებმა.

უკვე შებინდდა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მან გადასწყვიტა სატუსაღოდან გაქცევა. ყველაფერი მზათა აქვს. გარეთ ამხანაგები ელოდებიან. საჭიროა სარკმელში გადასვლა და იქვე კედელზე ჩაეშვება. მოდარაჯე სალდათი მას ეხმარება. მან ყური დაუგდო. სული გატრუნა ყველგან სიჩუმეა. ტუსაღებს სძინავთ. ზედამხედველი დერეფანში სთვლემს. ის წყნარათ აცოცდა სარკმელზე. წინათ გახერხილი რკინები გასწია და ცალი ფეხი გადასდგა. რკინას მაგრათ მოაბა თოკისაგან გაკეთებული კიბე და ჩაეშვა ძირს. მოდარაჯე სალდათმა თოფი იქვე დასტოვა და ორივენი ამხანაგებთან ერთათ გაქანდენ ქალაქისაკენ. ის თავისუფალია. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ის გრძნობით ეხვევა ამხანაგებს. უცბათ მათ გარს ერტყმიან პოლიციელები. ის გარბის. ყიჟინით უკან მისდევენ. აჰა, სადაც არის დაეწევიან, შეკვრენ თოკით და ისევ უკან მიიყვანენ, ბნელ კამერაში. გარბის რაც ძალი და ღონე აქვს, მაგრამ ხედავს თანდათან სუსტდება, მუხლები ეკეცება. მდევარნი თანდათან უახლოვდებიან, ერთი მათგანი დაწინაურდა და სულ რამდენიმე ნაბიჯზე დაუახლოვდა. აჰა, დაეწია კიდეც, სტაცა ხელი და დაიჭირა.

ავათმყოფმა თვალები გაახილა. ფიქრებიდან გამოირკვა, რომ რაღაცამ მოხრჩობით მოუჭირა გულზე. ენა დაება, სუნთქვა შეეხუთა. ის შეეცადა ზეზე წამოდგომას, მაგრამ მოწყვეტით ისევ დაეცა ლოგინზე. შიშით თვალები გაუფართოვდა, უნდა დაიყვიროს, უნდა სთქვას რამე, მაგრამ ენა თითქოს აღარ აქვს. მხოლოდ გამშრალ ტუჩებს ამაცუნებს. გულზე თანდათან უჭერენ მუხლუხს.

უცბათ სატუსაღოს კედლებმა საზარლათ ჩაიხითხითეს და თითქოს საჭიდაოთ ერთი მეორესკენ წამოვიდნენ. ჭერიც ნელა ძირს დაეშვა. ავათმყოფი შიშის ზარმა აიტანა.

ასწიეთ, ასწიეთ!—ძლივ წამოიკნავლა მან და ხელები კედლებისაკენ გაიქნია. კედლებმა ხარხარს უმატეს, სულ მოიწურენ, ჭერი დაბლა დაეშვა, ავათმყოფს სუნთქვა შეეხუთა, დაბნელდა... გათავდა ყველაფერი.

ირეთელი.

## დეპეშები
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აგვისტო.

### ოსმალეთი

**კანეა.** კრიტოსის მთავრობა სიტყვიერათ არწმუნებს მფარველ სახელმწიფოთა კონსულებს, რომ ის მზათ არის დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებას, და ამას გამოაცხადებს, როგორც კი კანდიაში წესიერება დამყარდებაო, სადაც მთავრობამ ჩამოიღო საბერძნეთის დროშა, მაგრამ შეიარაღებულმა ხალხის ბრბომ ხელ-ახლა აღმართა იგი. შეიარაღებული მცხოვრებლები ეხლაც იცავენ დროშას. კანეაში კი სრული სიმშვიდეა.

**სალონიკი.** საბერძნეთის საქონელს და გემებს ბოიკოტი გამოეცხადა.

**სტამბოლი.** პარლამენტში ლაპარაკი იყო საბერძნეთის ეკლესიების შესახებ. გადასწყვიტეს, რომ სადაო ეკლესია მიეცემა იმ სარწმუნოებას, რომელსაც აქვს მიცემული აშენების ფირმანი, ამასთან, იმ სარწმუნოებას, რომელიც ამა თუ იმ ალაგას შეადგენს მცხოვრებთა ორ მესამედს, უფლება აქვს შეინარჩუნოს ძველი ეკლესია, უმცირესობა კი ააშენებს ახალ ეკლესიას.

**კანეა.** ღამით კრიტოსის მთავრობამ დეპეშა მიიღო კანდიიდან, რომ იქ, მიტროპოლიტის საშუალებით, წესიერება აღდგენილია. ხალხმა თვით ჩამოიღო საბერძნეთის დროშა და ის გადასცა მთავრობას.

**სტამბოლი.** საბერძნეთის პასუხმა დააკმაყოფილა ოსმალეთი, თუმცა სავსებით არა. მოლაპარაკება საბოლოოთ საქმის გამოსარკვევათ კვლავ გრძელდება, მაგრამ კონფლიქტი, ჯერ-ჯერობით, ყოველ შემთხვევაში თავიდან აცილებულია.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობებით საბერძნეთი თავის უკანასკნელ ნოტაში აცხადებს, რომ საბერძნეთის მთავრობა, როგორც ყოველი ხვა მწუხარებით ეპყრობა მაკედონიაში ატეხილ მღელვარებას. როდესაც ოსმალეთის ახალი რეჟიმი იმედს იძლეოდა მაკედონიის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, საბერძნეთი ყოველივე საშუალებას ხმარობდა, რომ ხელი შეეწყო იქ წესიერების აღდგენისათვის. ამ პრინციპს საბერძნეთი არც კრიტოსის კითხვაში უღალატებს, საბერძნეთი აცხადებს, რომ ის თავის მოქმედებას შეუთანხმებს მფარველ სახელმწიფოების გადაწყვეტილებას და არავითარ მოძრაობას კრიტოსის კუნძულზე ხელს არ შეუწყობს.

### სპარსეთი.

**თეირანი.** გამოცხადდა მეჯლისში არჩეულთა სია, ყველა მათგანი აღმოჩნდა განათლებული პირები. მათ პატივსაცემლათ ასტეხეს სროლა.

პოლიციის უფროსი ეფრემი ამ დღეებში რაზმით გაემართება ზენჯანში, სადაც ცენტრია რეაქციონურ მოძრაობისა, და რომელსაც სათავეში უდგას მოლა ქერბან-ალი.

მაქოს ხანმა მორჩილება განუცხადა ახალ შაჰს და მთავრობას.

**თავრიზი.** ჯულფის მხრიდან მოვიდა მუჯზირუს-სალთანე, რომელიც ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორათ არის დანიშნული. ხალხი აღტაცებით მიეგება.

რადგან არჩევნები ნელა სწარმოებს, ვადა სამი დღით გრძელდება.

ურმიამდე ტელეგრაფი კიდევ არ მოქმედობს.

### რ უ ს ე თ ი.

**ბლაგოვეშჩენსკი.** ნავთ-სადგურში დაიწვა ერთი გემი. ადამიანი არ დაღუპულა. ზარალი 100,000 მანეთს უდრის.

**პოლტავა.** გაიხსნა აგრონომიული სიეზდი, რომელსაც აზრათ აქვს სოფლის მეურნეთათვის დახმარების მოწყობა.

### ხ ო ლ ე რ ა.

ხოლერით ავათ გახდომის შემთხვევა იყო: პეტერბურგში, არხანგელსკში, ვიტებსკში, მოგილევში, პოლოცკში, პოლტავაში, კრემენჩუგში, იაროსლავლში, რიგაში და პერმში.

### საზღვარ-გარეთ

**სტოკჰოლმი.** კერძო გაზეთების რედაქციებმა საჩივარი აღძრეს შვეციის სტამბის კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან მათ დაარღვიეს რედაქციებთან დადებული პირობა, რედაქციები თხოულობენ ყოველივე ზარალის ანაზღაურებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღებულობს ძრავალ ცნობებს სხვა და სხვა ადგილებში მუშაობის დაწყების შესახებ. 800,000 სასოფლო-სამეურნეო მუშათა-

გან გაფიცვაში მონაწილეობა მხოლოდ 1000 კაცმა მიიღო. შვეციის არა-სოციალისტურ მუშათა კავშირის გამგეობამ ცირკულიარი დაარიგა, რომ საყოველთაო გაფიცვა ახლა იმ განვითარებას მიადგა, როცა მისი მოწონება უკვე აღარ შეიძლებაო, ამიტომ ის იწოდებს მუშებს ათ აგვისტომდე შეძლების დაგვარათ დაიწყონ მუშაობა. მთავრობის ცნობით 3 აგვისტომდე გაფიცული იყო 284,218 მუშა; მუშაობა განაახლა 10,000 კაცმა. გაფიცვა კვლავ მშვიდობიანათ მიმდინარეობს.

**კოპენჰაგენი**. პირველი ვიცე პრეზიდენტი ფოლკეტინგი დაინიშნა სახელმწიფო დაცვის მინისტრათ. ვიცე-პრეზიდენტათ აირჩიეს ყოფილი გზათა მინისტრი სენდერუპი.

**სტოკჰოლმი**. სტოკჰოლმში და გეტებორგის ახლო შტრეიკბრეხერთა წინაამდეგ მოხდა დემონსტრაციები. წეს-რიგი სერიოზულათ არ დარღვეულა. სახაზინო რკინის გზებზე მსვლელობა თითქმის ნორმალურია. სამგზავრო მატარებლები შემცირებულია 15, საქონლის—90-ით. კერძო რკინის გზებზე მატარებლების რიცხვი შემცირებულია 97-ით. სტოკჰოლმის ქუჩებზე ჩვეულებრივი მოძრაობაა. სამეფო თეატრები ღიაა, გამოფენას ხალხი ბლომათ ესწრება.

**ტოკიო**. ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც საბოლოოთ სჭრის მშვიდობიანის გზით ანდუნ-მუკდენის რკინის გზის კითხვას.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

აგერ უკვე მეხუთმეტე დღეა, რაც შვეციაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. მართალია ბევრს შეეცადენ—დაერღვიათ სამაგალითო წესიერება, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში მუშები იცავდენ, მაგრამ ამაოთ. ვერაფერმა ვერ უშველა მათ. მუშები მშვიდათ, წყნარათ და აუჩქარებლათ მოქმედებდენ. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული პატრულები დღისით დადიან ქუჩებში და იცავენ გლეხებს, რომლებსაც სანოვაგე შემოაქვთ. საღამოობით ბაღებში სამხედრო მუსიკა უკრავს. ქალაქი ჩვეულებრივათ სდუმს და გადადუღს. თავ ჩაღუნული და ფიქრებით გატაცებული მუშა მძიმე ნაბიჯით მიდის ქალაქის განაპირას თავის ქოხში, სადაც ეკონომიის გულისთვის ლამპა არ აუნთია, სადაც გამხმარი პური და მწარე ყავა შეადგენს მის ვახშამს. დახმარება არსაიდან არის. ორგანიზაციები მხოლოდ შიმშილობის დროს დაურიგებენ საჭმელს, ხოლო ეხლა კი უნდა გაუძლონ, სანამ ძალა შესწევთ. არავინ არ იცის და არც შეუძლია გაითვალისწინოს, რით გათავდება გაფიცვა. მძიმე ღრუბლები თანდათან აწვება ქვეყანას. ორი მოწინაამდეგე ბანაკი განაგრძობს ბრძოლას, იარაღს არ ყრის. მექარხნემრეწველთა კავშირი ჯარის შემწეობით ცდილობს აღადგინოს ტრამვაის, ეტლების და ავტომობილების მოძრაობა. ამის საპასუხოთ სტამბები საზოგადო გაფიცვას აცხადებენ და ყველა გაზეთებს აჩერებენ, იბეჭდება მხოლოდ მარტო „ლანდსეკრეტარიატ სვარეტ“-ი (პასუხი) პატრულები იცავენ სანოვაგეს შემომტანს. ამის საპასუხოთ სოფლის მეურნე მუშები იფიცებიან. ჩრდილოეთის გზაზე უკვე გაიფიცენ ლიანდაგის მუშები. ყველა ამ ამბების წყალობით ჩვენ ვხედავთ, რომ საყოველთაო გაფიცვა შვეციაში მთელი ქვეყნის მუშათა ისტორიაში მნიშვნელოვანი ფაქტია. სამწუხაროთ უცხოეთის გაზეთების უმრავლესობა ყალბ ცნობებს ღებულობს თავიანთ კორესპონდენტებისაგან, რომლებიც მესამე პირიდან ტყუბილობენ ამბებს. ვიმეორებ, რომ გაფიცვა ლოკაუტის გამოწვეულია და არავითარი პოლიტიკური მიზანი არა აქვს. გაფიცვა იმ წუთში გათავდება, რა წუთშიაც შვეციის სამუშაოს მიმცემთა კავშირი წერილობით დაადასტურებს, რომ ხელს არ შეუშლიან პროფესიონალურ კავშირების არსებობას, არ გაადიდებენ სამუშაო დღეს და არ მოუკლებენ ხელფასს. თავის მხრივ გაფიცულებმ ხელათ მუშაობას დაიწყებენ წინანდელ პირობებში, რომლებიც შემუშავებული იყო ივლისში და აგვისტოში.

საჩქაროთ მოვიდა სატახტო ქალაქში მეფე და ორივე მხარის ხელმძღვანელებს მოუწოდა და მათთან ერთათ გერმანელ ლინკვისტსაც. ირწმუნებიან, რომ იმ დროს, როცა პოლიციის ყოფილი შეფი დაღონებული დაბრუნდა, ლანდ-სეკრეტარიატის მეთაური ლინკვისტი სამი მეოთხედი საათი დარჩა მეფესთან და დაარწმუნა, რომ გაფიცვა პოლიტიკური არ არის. თუმცა აუდიენციის ამბავი საიდუმლო არის, მაგრამ ამის შემდეგ შვეციის კაპიტალისტთა ორგანოებმა ხმა დაიდაბლეს და კიდევაც აღნიშნეს ის სამაგალითო წესიერება, რომელიც მუშებში არის.

პროვინცია მოძრაობაშია. გოტებორგში და ნორკეპინგში მიტინგები ხდება, სადაც გამოაქვთ რეზოლიუცია გაფიცვის სასარგებლოთ. ჩრდილოეთ შვეციაში, სადაც მრავალი მადნები, სახერხი და რკინის ქარხანა არის, გლეხები დიდ დახმარებას უწევენ გაფიცულებს, ვინ ფქვილს აწვდის, ვინ ძროხას და ღორს. შვეციის მრავალ ადგილას არსებული „სიფხიზლის საზოგადოებები“ დიდ თანაგრძნობას უცხადებენ გაფიცვას და აყენებენ მოთხოვნას მაგარ სასმელების შესახებ, რომ გაფიცვის მთავარ კომიტეტის მიერ გამოცემული წესები ძალაში დარჩეს, ე. ი. მთელ მხარეში მაგარი სასმელი ყიდონ როგორც სადილის დამატება და ცალკე არ გაყიდონ. საზოგადოებებს უნდათ არ გათავდეს გაფიცვა მანამდე, სანამ ეს წესები არ დაკანონდება. შვეციის ხალხის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ იმ ხნის განმავლობაში, რაც გაფიცვა დაიწყო, ერთი მთვრალი არავის უნახავს ქუჩაში.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ სამხრეთ შვეციაშიც გლეხებმა დახმარება აღმოუჩინეს გაფიცულებს. უმთავრესი ორგანოები „ს.-დემოკრატი“ და „სვარენ“-ი მოუწოდებენ მუშებს—არ აყვენ პროვოკაციას, ისარგებლონ „შემთხვევითი დასვენებით“ და იკითხონ. ერთ პუბლიცისტთაგანი ტულინი საჩქაროთ წავიდა ამერიკაში, რომ დახმარება შეაგროვოს. ქალთა მოძრაობის ორი ხელმძღვანელი, გუსტავსონი და კატტა დალსტრემი დადიან მთელ შვეციაში და მოუწოდებენ ქალებს, დაეხმარონ თავის ქმრებს, ძმებს და მამებს. ასეთია დღეს შვეციის მდგომარეობა.

## ახალი ამბები

**ქართული დრამატიული საზოგადოება**. 7 აგვისტოს შესდგა ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის სხდომა. როგორც ამას წინეთ მოხსენებული გვქონდა, დრამატიული საზოგადოების გამგეობას წინადადებით მიმართეს მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორთა კურსების მოწაფემ ალ. წუწუნავამ და ამავე თეატრის რეჟისორის თანაშემწემ ვ. მჭედლიშვილმა, რათა გამგეობას სამხატვრო თეატრში დაეარსებია ქართული ჯგუფი, სადაც ახალგაზრდა ქართველი არტისტები შეისწავლიდენ სასცენო ხელოვნებას და სხ. გამგეობამ ამას წინეთ ეს საკითხი პრინციპიალურათ მიიღო. 7 აგვისტოს კრებაზე გადასწყვიტეს, გაიგზავნოს 1 სექტემბრიდან ხსენებულ კურსებზე არტისტი ვ. შალიკაშვილი. ამასთანავე, გამგეობამ დაადგინა: ეთხოვოს წ. კითხვის საზოგადოებას ბ. შალიკაშვილისთვის სტიპენდიის დანიშვნა. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე, ეთხოვოს დ. ზ. სარაჯიშვილს—ერთი სტიპენდია დაუნიშნოს დრამატიულ ხელოვნების შესასწავლათ ქ-ნ ჩირგაძეს, რომელიც ამ ჟამათ პეტერბურგში სწავლობს. მომავალი სეზონის გახსნის შესახებ გამგეობას მსჯელობა არ ჰქონია. ამის შესახებ ახლო ხანში მოხდება გამგეობის თათბირი, სადაც მოიწვევენ ზოგიერთ კერძო პირთ. თათბირზე დაასახელებენ რეჟისორს და სხ...

**საქართველოს საექსარხოსოს შესახებ**. ამას წინეთ გაზეთებში მოხსენებული იყო, თითქოს სინოდს გადაეწყვიტოს საქართველოს საექსარხოსო ხელუხლებლათ დატოვება და ექსარხოსის ნიკონის მკვლელობის შესახებ ყოველივე გამოძიების მოსპობა. ეხლა „ცნობათა ბიურო“ იტყობინება, რომ ხსენებული ცნობა სინამდვილეს არ შეიცავს, ვინაიდან სინოდს საექსარხოსოს შესახებ კითხვა არ აღუძრავს და ექსარხოსის მოკვლის შესახებ კი მას უფლება არ აქვს იმსჯელოს და რაიმე გადაწყვეტილება გამოიტანოს.

**სახალხო უნივერსიტეტი**. საზაფხულო დასვენების შემდეგ ხვალ, საღამოს 7 საათზე დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის პირველი სხდომა.

**ეგზეკუცია**. როგორც ვიცით, სოფ. ცაგვერში ამ ჟამათ კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ჩაყენებულია ეკზეკუცია. მცხოვრებთაგან მოითხოვენ ტალახაძის, ლობაძის და ნორიას გაცემას, რომელნიც ადმინისტრაციის ცნობით, ცაგვერის მიდამოებში ძარცვა-გლეჯას ეწევიან და სხვა ბოროტ-მოქმედებასაც სჩადიან. ამ დღეებში „კავკაზ.“ სიტყვით ხსენებული საზოგადოების რწმუნებულთ შუამდგომლობა აღუძრავთ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის წინაშე ეკზეკუციის მოხსნის შესახებ.

**პირდაპირი მიმოსვლა** ავტომობილით სიღნაღსა და თფილისს შუა შეწყვეტილია. ავტომობილი თფილისიდან ივლის გომბორამდე. გომბორიდან სიღნაღამდე კი—ომნიბუსი.

**რკინის გზის უფროსის** ნეიგებაუერის განკარგულებით იმ მოსამსახურეს, რომელსაც დაეკარგება თავისი ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი, გადახდება 3 მან., რითაც მოწმობის დაკარგვა გამოცხადდება „ამიერ-კავკ. რკინის გზის უწყებაში“, და მხოლოდ შემდეგ მიეცემა შესაფერი მოწმობა.

**ჩხრეკის დროს** 7 აგვისტოს დააპატიმრეს 8 უპასპორტო, რომლებიც საპოლიციო უბნებში დაგზავნეს ვინაობის შესამოწმებლათ.

**ბაქო თფილისის ტელეფონით შეერთება**. აზრათ აქვთ ბაქო-თფილისი განჯა ტელეფონით შეაერთონ. პროექტის შედგენა მიენდო თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროს მექანიკს კრასნოვსკის. როგორც გამოანგარიშებულია, ტელეფონის გაყვანა 350,000 მან. დაჯდება. (კ.).

**იარაღი**. 7 აგვისტოს, 3 საათზე ზურაბოვის სახლში სახურავის შეკეთების დროს აღმოჩნდა ყუთი, რომელშიაც ჩაწყობილი იყო რევოლვერის 180 პატრონა და გილზები. იმ წამსვე მთელი სახლი გაჩხრიკეს, მარა სხვა საწინაამდეგო ვერაფერი აღმოაჩინეს.

**კერძო საკომერციო სასწავლებელი**. 1 სექტემბრიდან თფილისში არსდება კერძო საკომერციო სასწავლებელი. სკოლა არსდება კომერციული განათლების გამავრცელებელი საზოგადოების მართველობის ინიციატივით. დროებით დირექტორათ მოუწვევიათ სავაჭრო სკოლის ინსპექტორი ივ. ზ. ტერ-სტეფანოვი. სწავლის ფასი იქნება წლიურათ 80 მანეთი.

**ცეცხლი**. 7 აგვისტ. ნაშუადღ. 4 ს., მიხეილის ქ. № 141 სახლში ფრანკეს სასტოლიარო სახელოსნოს ცეცხლი გაუჩნდა, რომელიც ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ჩააქრო. ზარალი 2000 მანეთამდეა.

**პასუხის გებაში მიცემა**. საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებით პასუხის გებაში იქნენ მიცემული და საქმე თფილისის საოლქო სასამართლოს გადაეცა: უბნის ზედამხედველის ტოლმაჩევის, მაძებარი პოლიციის ყოფილი გამგის მაჩინსკის და უბნის ზედამხედველის ორგუჩოლლი ალიევის შესახებ. იმავე სამმართველოს დადგენილებით ყოველივე გამოძიება მაძებარ პოლიციაში მოსამსახურის უბნის ზედამხედველის საფაროვის შესახებ მოისპო.

**დაჯარიმება**. საადრესო სტოლის შესახებ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის სამ-სამი მანეთით ან სამი დღით დაპატიმრებით დაჯარიმებულ იქნენ: 6. ტატიანცი, ი. თუმანოვი, ა. ბაგდოევა, სოფია ბუნტური, გრიგოლ ოტიევი, ი. შერემეტიევი, ზაქარია შარაბიძე და სტეფანე სომხიევი.

**დაპატიმრება**. 7 აგვისტოს, მე-10 საპოლიციო უბანში დააპატიმრეს ვასილ არტამანოვი, რომელსაც ჯარში წასვლა შეხვდა და ეს 4 წელია იმალებოდა.

**უეცრათ გარდაიცვალა** 7 აგვისტოს თფილისის მოქალაქე ბ. დავიდხანოვი. მიცვალებულის გვამი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.

**ბიქტორ ბოლქვაძის** გარდაცვალების გამო ადესიდან სამგლოვიარო წერილი მივიღეთ, რომელსაც ხელს აწერენ: მ. მდივანი, ისიდორე ლომთათიძე, ა. მდივანი და ე. არდიშვილი.

ჩვენი გაზეთის 4 აგვისტოს ნომერში მოთავსებული ამბავი, სადაც ნათქვამია: ანდრია ჯაბაურმა ორი ქალი მოატყუილა რიგაში და თფილისში ჩამოიყვანა, ჯაბაური შემდეგ დააპატიმრა ქალებთან ერთათ და სხ. როგორც ეხლა გამოირკვა, ქალები მოუტყუებია ანდრია კობაურს და არა ჯაბაურს.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი**. ადგილობრივმა პოლიციამ კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგან მიიღო განკარგულება, წინადადება მიეცეს გადმოხვეწილ (бѣженцы) სომხებს, რომ ერთი თვის ვადაში დაბრუნდენ სამშობლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში ეტაპით იქნებიან გაგზავნილი. განკარგულებასთან ერთად მიუღიათ სია. სიები ორ კატეგორიათაა დაყოფილი. პირველ კატეგორიაში შედის (ჯერ-ჯერობით) 101 კაცი. ესენი, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, „გადმოხვეწილან“ 1901 წლამდე და მათ ეძლევათ წინადადება—ერთ თვეში დასტოვონ რუსეთი. მეორე კატეგორიაში—18 კაცი; იმათ 2 თვის განმავლობაში უნდა აიღონ რუსეთის ქვეშევრდომის მოწმობა. ეს განკარგულება უკვე გამოეცხადა აქაურ სომხებს.

— ქურდობამ ამ ბოლო ხანებში თანდათან იმატა. 2 აგვისტოს ღამით გაქურდეს: აქციზის მოხელე გურალია და ბეჩუ კვირკველია. წაუღიათ საოჯახო ნივთები. 2 აგვისტოსვე გაქურდეს მგზავრი გაიოზ ქაჯაია: მას 15 მან. გზის ფული ამოართვეს ჯიბიდან. ჩხრეკის დროს ეს ფულები ცხვირსახოცში გამოსკვნილი უპოვეს საპატიო მოქალაქეს (почет. гражданинъ) ივანე ჩიხლაძეს. ჩიხლაძე დააპატიმრეს. ქურდობის გახშირების მიზეზათ ასახელებენ 6 პროფესიონალურ ქურდის დაბრუნებას ფოთში, რომლებიც სამხედრო წესების დროს აქედან გადასახლებულნი იყვენ და სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ დაბრუნდენ.

— ადგილობრივ ელექტრონის სადგურზე მომუშავე აბშილავა, როცა ის ელექტრონის ფანარს ასწორებდა, 4 აგვისტოს გადმოვარდა. ფანრის ბოძიდან და დაშავდა მარცხენა ფეხში. დაშავებული მიქაბერიძის საავათმყოფოში გაგზავნეს.

— აქაური პორტის უფროსი, გენერალი სმელსკი, ოტპუსკში წავიდა.

— ხანგრძლივი სიცხეების შემდეგ მოვიდა წვიმა. ეხლა შედარებით აგრილდა.

— ძალიან შემცირდა მარგანეცის მუშაობა (პლატფორმაზე). მუშები სანახევროთ ტყვილათ დადიან. ახლო მომავალში, როგორც ამბობენ, ელევატორი ამუშავდება და სრულიად გააუქმებს პლატფორმის სამუშაოს და ვაგონების დატვირთვასაცა.

## კორესპონდენციები

**ს. სვირი** (იმერეთი). აქეთ წელს დიდი გვალვები იყო, ყანები სულ გადახმა, მხოლოდ 29 ივლისს და 2 აგვ. როგორც იქნა გვეღირსეთ წვიმას. ვენახებმაც გვიღალატა, გაზაფხულზე ახლათ გამოსული ყლორტები მოსწყა სიცივეებმა და დიდი ზიანი მიაყენა ვაზს, ასე რომ ღვინო წინანდელთან შედარებით ძალიან ცოტა მოვა. ღვინის ფასი საზოგადოთ ერთობ დაცემულია. სიმინდი 80 კაპ. 1 მან.-დე ფასობს. აბრეშუმის პარკი 12—16 მანეთამდე იყიდებოდა. აქ წელს ბევრმა გლეხკაცმა მეიდებისაგან შეიძინეს აბრეშუმის თესლი, რაც ძალიან ცუდი თვისების გამოდგა, რის გამო დიდი ზარალი ნახეს მეიდებლებმა. საჭიროა მომავალში მაინც მიაქციონ ყურადღება, რომ ხალხი არ მოატყუონ თესლის პატრონებმა. სიბნელეს და მარჩიელ-ჯანბაზებს აქ ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს. მარჩიელები მთელ წინ ხალხს „მხსნელად“ და ტყავს აძრობენ. აი მაგალითი: ქუთაისელი მატყუარა „ექიმ-ჯამბაზმა“ ბესარიონ მიქაშავიძემ სამარჩიელოში კომ. ჯ—ძს ერთ საპალნე ღვინოს ეძებდა, აქაო და შენი შვილი თუ მე არა,—მოკვდებოდაო. მეორე, წნარელმა „ექიმმაც“ ასეთივე „ექიმობით“ და მექარით ხუთი თუმანი დაძრო გლეხს დ. ზ—ძეს. საჭიროა მოწინავე ელემენტებმა დაგმო ასეთი ამ აშკარა უსინდ-მძარცველებს.

აქაური სცენის მოყვარე, მოსწავლე ახალგაზრდობა 16 აგვ. წარმოადგენს ზ. ირეთელის თანამედროვე პიესას „დამარცხებულს“; შემოსავალი თუ რამე იქნა, მომავალი წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთვის იქნება გადადებული.

ეს ახლათ შემდგარი ჯგუფი ბევრ რამეს ისახავს მიზნათ. ჩვენც ვუსურვებთ, ამ ახალგაზრდა ნორჩ ელემენტებს, ენერგიულათ იმოქმედონ და გამოფხიზლების გზაზე დაეყენებინათ სიბნელით მოცული სოფლები.

შარშან, მ. რიამობისთვეში, სადგურ სვირსა და ყვირილას შუა, პლატფორმის გახსნა ვითხოვეთ სადაც—ჯერ იყო. ამ საქმის გამო გამოსაძიებლათ მოვიდა წარმოების უფროსი ინჟენერი დანიშნეს. ის მოვიდა ადგილობრივ და დანიშნულ ვადაზე ხალხიც დახვდა მას. უფროსმა გასინჯა საპლატფორმო ადგილი და გეგმაც შეადგინა, მაგრამ ზოგიერთმა ინტრიგანებმა იქ დაუწუნეს და ისეთ ადგილზე მიუთითეს, სადაც არც ხალხისთვის იყო სასარგებლო და არც რკინის გზისათვის. მაგალითად მას საერთო გზა არ უდგებოდა და მეორე, დიდი უმრავლესობისათვის ძალიან მიუწდომელი იყო, ამ ზემო მოყვანილ მიზეზის გამო რკინის გზის გამგეობამაც უარი გვითხრა პლატფორმის გახსნაზე. ასე წაუგდეს საზოგადო საქმე ზოგიერთმა გაიძვერა „განსწავლილმა“ ვაჟბატონებმა.

დროებით ჩამოსული მუშა

**სანდრო ელისაბედიშვილი**.

**სოფელი ჭაგანი** (ქუთაისის მაზრა). საშინელი გვალვების გამო ჭირნახული სულ გადახმა. შიმშილობამ უკვე კარგი ხანია კარები დაგვიკაკუნა. აუტანელია გლეხების მდგომარეობა. გადასახადებს უფრო დღე უმატებენ. ამ რვა წლის წინათ გომბზე ორი აბაზი იკრიბებოდა წელიწადში ერთხელ მთავრობას დაპირებით ეს ფულები ისევე საზოგადოებას უნდა მოხმარებოდა გაჭირვების დროს, მაგრამ დაპირება დაპირებათ დარჩა. ის კი არა, ეხლა რამდენიმე წლებისას ერთათ ახდევინებენ, სულ 3 მან. 20 კაპ. ამას მიუმატეთ დრამის ფული. ხალხს არავითარი სახსარი არა აქვს გადახდის და ეჭვს გარეშე მათ ოჯახებს აწიოკება მოელის.

სამტრედია-ხონს შუა მცხოვრებლებს საერთოთ უკვე გადმოუგზნილი მდინარე ცხენის წყლის შტო, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს მცხოვრთათვის, მაგრამ საუბედუროთ წყლის საქმე ვერ არის კარგათ მოწესრიგებული და ხშირი უსიამოვნება ხდება. მართალია, არის გამგეობა, მაგრამ წევრები უფრო მექრთამეობას მისდევენ, ვიდრე წყლის საქმეს და ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს უსიამოვნების გამომწვევ მთავარ მიზეზათ.

**ან—შვილი**.

## მუშათა შორის

**ამიერ კავკასიის რკინის გზის რემონტის მუშათა ცხოვრებიდან**. მე მინდა მკითხველს მოკლეთ გავაცნო ამიერ-კავკასიის რკინის გზების რემონტის მუშათა მდგომარეობა.

ამიერ კავკასიის რკინის გზა დაყოფილია 18 ნაწილათ. თითეულ ნაწილს ყავს თავისი გამგე-ინჟინერი, თითეულ მათგანს თავის მხედველობის ქვეშ აბარია 100 ვერსი გზა, ზოგან მეტი ან ნაკლები. მთელ 18 ნაწილში რკინის გზის ოსტატი („დაროჟნი მასტერი“) სულ არის 153 კაცი. თითოეული მათგანი განაგებს თავის „აკალოტკას“ განსაზღვრულ ფარგლებში. საერთოთ ყველა ნაწილებში მუდმივი მუშები („შტატნი“) არიან 2000 კაცი. დღიური მუშები თუმცა ზამთრობითაც ბევრია, მაგრამ ზაფხულობით, რადგან სამუშაო უფრო მეტია, მათი რიცხვი თითქმის 8000 ათასამდე ადის (შტატს გარდა). ყველა ესენი შესდგებიან ამა თუ იმ სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებისაგან, რომლებიც ათასგვარ გაჭირვების გამო მოსცილებიან თავის ოჯახს და სამუშაოს დაეძებენ. ასეთი მუშები სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ იძულებული ხდებიან მიაშურონ თავის სოფლის კერას, რადგან აღებულ ფულიდან მას იმდენი არა დარჩა რა, რომ ცოტა ხანს გარეთ დარჩეს და თავი გამოიკვებოს. რაკი ასეა, ჯერ აქ ჩვენ შევუდგებით საერთოთ მუშების მდგომარეობას და შემდეგ გავარჩევთ რომელ მხარეს, რა ტანჯვა ადგია მუშებს. ყველა ნაწილებში საერთოთ მუშები ერთნაირ პირობებში იმყოფებიან. უმთავრესი საკითხი აქ მუშებისათვის ბინაა და გიგიენურათ ცხოვრება, ამას კი ყველა მათგანი მოკლებულია. ბინა მხოლოთ იმ 2000 მუშებს ეძლევათ, რომლებიც მუდმივ მუშებათ ითვლებიან, დანარჩენი დღიური მუშები გარეთ, ჰაერზე იძინებენ (ზაფხულობით) და ამის გამო ხშირათ ისეთ ავათმყოფობას იძენენ, რომლის წყალობით სიცოცხლეს ესალმებიან, მაგალითად დამპალი ციებ-ცხელება, რომელიც ხშირი მოვლენაა დღეს ბაქოსა და ერევნის მხარეებში. განათლებულ სა-

**თეატრი მულენ ელექტრიკი**

მიხეილის პროსპ., სათავადაზნაურო სასწავლებლის პირდაპირ.

დღეს აჩვენებენ სიცოცხლით სავსე სურათებს: დრამებს, ტრაგედიებს, კომიკურს და სხ. პროგრამის გარეშე აჩვენებენ სპეციალურათ ჩამოღებულ დამზადებულ სურათებს:

**„ციცინიოსის“ აღმართი, ავლაბარი, ნავთლუღი.**

აჩვენებენ აგრეთვე:

**ბაქოს ტიპები და ბაზარი.**

გარდა ამისა:

**„მეველოსიპედის საყვირი“,**

კომიკური; ვისაც არ სურს, ისიც გაიცინებს.

**დაწვრილებით პროგრამებში.**


ხელშეკრულებში ყოველი დარგის მუშებისათვის სასიცოცხლო პირობები ბინა გაუმჯობესებია. აქ საძინებელ ბინის ერთი მუშისათვის დამიძილი აქვს იმდენი ადგილი, სადაც ერთი კუბიკური საჟენი ჰაერი მოთავსდება და ისიც „გიგიენურათ“ მოწყობილი, მაგრამ ასეთ ბინას სულაც არ ემსგავსება ჩვენ ამიერ კავკასიის რკინის გზის რემონტის მუშებისათვის (ცხადია მთელ რუსეთშიაც). აქ 7 კუბიკურ საჟენზე იძინებს 15—18 მუშა; ამავე ბინაში მოთავსებულია პურის საცხობი ფეჩი და ბუხარიც, აქვე იხსება სამუშაო იარაღებიც და აგრეთვე მუშების ყოველგვარი ფალას-ფულასი, ათასგვარი ძონძები და მასთან საკვები სარჩოებიც. მუშების ძველი დაფლეთილი ლოგინები ჩაშვებულია ოფლისა და ათასგვარ ჭუჭყისაგან, რომელიც თავის დღეში არ გარეცხილან, აწ ვინ გარეცხოს, როდესაც მუშებს თავისთავის მოვლისა არც დრო აქვთ და არც ფული აქვთ ამისთვის. აქ მუშებისათვის არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება—საერთოთ, რემონტის მუშები მოკლებულია ადამიანურ ცხოვრებას და ექიმი და წამალი ეს ხომ მიუწდომელი ხილია მათთვის. როგორც ზევით ვამბობდით, ზაფხულობით მუშების 80 პროცენტს არ აქვს თავშესაფარი ბინა; აქ ბინაც და დაწინაურებაც მხოლოდ იმ მუშას მოელის, ვინც რკინის გზის ოსტატს სხვადასხვა ფეშკაშებს მიუტანს და ხელზეც კარგათ ემსახურება. ამიტომ დღეს ასეთი მოვლენა მუშებისათვის ჩვეულებრივი სენია, რითაც ხშირათ ერთმანეთს უთხრიან სამარეს. რკ. გზის ოსტატების დიდი უმრავლესობა ყოფილი მუშებისაგან შესდგებიან, რომლებსაც განვლილი აქვთ იგივე ტანჯვა, რითაც ისინი უმასპინძლდებიან ბედშავ მუშებს. ეს ვაჟბატონები ნაწილის გამგეს მონებსავით ემორჩილებიან და ფეხქვეშ ეგებიან, რომ ამით მათი გული მოიგონ და მუშებს კი დესპოტიური გავლენით ეპყრობიან. მათი მიზანი მუშების ექსპლოატაციაა; მუშას მიიღებს სამუშაოთ,—ქრთამი უნდა გამოართვას და დაითხოვს და ერთი და ან ორი დღის ნამუშევარი უნდა წაართვას, აი რა არის დღევანდელი მათი ადამიანური ქცევა. ერთი სიტყვით ყველაფერი არა ადამიანური მოპყრობა მუშებისადმი ამ ვაჟბატონებისაგან გამოდის. აი რა სენით არიან შეპყრობილნი თავის ჯიბის ასამსებათ რკინის გზის ოსტატები. თუმცა მათ შორის მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც ადამიანურათ ეპყრობიან მუშებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, გამონაკლს შეადგენს. ხშირათ არის ისეთი შემთხვევა, რომ მუშებს დღე და ღამ უხდებათ დაუსვენებლივ მუშაობა, სადაც „ჩქარ-ჩქარას“ ძახილი გაისმის უფროსების; რასაკვირველია ასეთი სამუშაო უფრო მუდმივ მუშებს ხვდებათ. ჩვეულებრივათ კი მუშაობენ დღეში არა ნაკლებ 15 საათისა (ზაფხულობით მეტსაც), მით უმეტეს, როდესაც შემოღებულია ერთ მუშისაგან 10 ღერი შპალის გამოცვლა. ბევრია ისეთი სუსტი მუშა, რომელსაც ცეცხლივით ანთებულ სიცხეში უჭირს მეორე ფიზიკურათ ღონიერ მუშასთან ერთათ მორჩეს 10 ღერი შპალის გამოცვლას; ამიტომ მას მუშაობა გაუგრძელდება, რისთვისაც მას დასცინიან თავზე მდგომნი. ასეთი მუდმივი შეუსვენებელი მუშაობისათვის დროებით დღიურ მუშებს ეძლევათ დღეში 50 კ. და მუდმივებს კი 60 კ. აი მათი შრომის ჯილდო. მხოლოდ თუ რამე მიზეზების გამო, ან ავათმყოფობის ან სხვა, დღე ან ორი-სამი საათი გაუცდა მუშას იმას ჯამაგირის და მიხედვით გამოურიცხავენ ხვედრ ფულიდან, და თუ ოსტატმა კეთილ ინება და არ გამოურიცხა, სულ ერთია, ამის სამაგიეროთ მუშის მოვალეობა ფეშქაშის მირთმევაა. ნაწილის გამგე მხოლოდ იმას ცდილობს, რომ სამუშაო კარგათ კეთდებოდეს და თუ მუშისათვის საჭიროა აბანო, გაუმჯობესებული ბინა, კულტურული დაწესებულება და გიგიენურათ თავის მოვლა, ექიმი და სხვა, ამაზე უფროსები თავს არ იწუხებენ. ისინი მხოლოდ თავის სახელის სადიდებლათ ცდილობენ, რომ გზა კარგათ იყოს დამუშავებული ისე, რომ რაიმე შემთხვევა მოსალოდნელი არ იყოს და მატარებლის მიმოსვლა არ შეჩერდეს, დანარჩენს მუშისათვის არას დაეძებენ. მუშები კი ერთ დღესაც, რომ გაწყდეს რა დარდი აქვთ! მუშის მეტი რა არის! დღეს დაითხოვენ, ხვალ ახალს მიიღებენ. შეიძლება მკითხველი გაოცდეს, მაგრამ აქ გასაკვირალი არ არის რა და მე მაინც ვიტყვი: არის ისეთი ადგილები, სადაც რემონტის მუშის სიცოცხლე სამი-ოთხი წლის მუშაობით ისპობა სხვადასხვა ავათმყოფობის გამო. (ამის ფაქტებიც არის) ეხლა დავანაწილოთ მხარეები მუშების უზრუნველ ყოფით. დასავლეთი მხარის მუშები შედარებით აღმოსავლეთისაზე უფრო წინ დგას კულტურულ განვითარებით, რომლებსაც უფრო შეუძლია მოვლა გიგიენურათ. მათ ამ მხრივ ცივი და კარგი წყლებიც უწყობს ხელს და ჰაერიც, მაგრამ გამეფებული რეჟიმის წყალობით ამ მხარეშიაც შეუძლებელია კულტურის მოხმარა და გიგიენურათ თავის მოვლა, მით უმეტეს ასეთი მცირე ჯამაგირებით, რომელიც საერთოთ ეძლევათ რემონტის მუშებს. დასავლეთ საქართველოს ერთი უმთავრესი მტერი არის მუდმივი წვიმები, რომელიც იწყება შემოდგომიდან და ხშირათ გასტანს გაზაფხულის დამლევამდე. სწორეთ ასეთი მუდმივი წვიმები უმთავრესი მტერია ამ მხრის რემონტის მუშებისათვის მათი ტანსაცმელები მუდამ სველი და ტალახიანია. წვიმისაგან დასველებულთ ხშირათ იმ პატარა ოთახში სადაც ათი კაცის ადგილია, ოცდაათ კაცს უხდება ცხოვრება, რომლებიც ანთებულ ბუხრის წინ ჩამოკიდებენ გასაშრობათ სველ ტანისამოსებს და ტალახიან წინდებს, რომლის მყრალი სუნი სულს უხუთავს საწყალ მუშებს ისედაც უჰაერო ოთახში. ამ ყოფაში არიან აღმოსავლეთის მუშებიც თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ხშირი წვიმები არ იცის, მაგრამ პირობები ერთი და იგივეა, მხოლოდ ჩვენი უმთავრესი ყურადღება აღმოსავლეთ მხარეზე ე. ი. ბაქოს ლიანდაგზე უნდა იქნეს მიქცეული. ეს ისეთი მხარეა, სადაც მუშების მდგომარეობა უფრო გაორკეცებულია. პირობები ჩვენ საერთოთ ჩამოვთვალეთ, მაგრამ ხსენებულ მხარის პირველ საკითხთაგანი ბინა და წყალია და მეორე ის შხამიანი მწარე მკბენარა კოღო, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ადამიანს. ცხადია, სადაც წყალი დამპალი და მყრალია, იქ ჰაერიც დამპალი იქნება, სადაც კოღო ცოფიან ძაღლივით იკბინება, იქ ადამიანის სიცოცხლეც ბეწვზე კიდია. ექიმების თქმით კოღოს კბენისაგან შესაძლებელია ადამიანმა სხვადასხვა ავათმყოფობა მიიღოს, ამიტომაც ექიმების რჩევით ბაქოს მხარეში მუშებისათვის უნდა მიეცათ რიგიანი ბინები და ფანჯრების ადგილას „სეტკები“ ჩაესვათ, რითაც შესაძლებელი იყო დაღლილ-დაქანცულ მუშისათვის ძილის დროს ღამე თავპირი არ დაესიებია კოღოს, მაგრამ ექიმების ასეთი რჩევა უფროსებისათვის მხოლოდ რჩევათ დარჩა და ის ჯერაც არ შეუსრულებიათ. ახლა გადავხედოთ სასმელ წყალს. მკითხველმა იცის, რომ ბაქოს ლიანდაგზე არსად მახლობლათ არ მოიპოვება ისეთი მდინარე წყალი, რომლის დალევა შეიძლებოდეს არსად არის გარდა სადგურ თაუზისა და განჯისა. აი აქედან ურიგდებათ სადგურზე სასმელი წყალი; ასე, რომ სადგურ ყარაიაზამდე და თითქმის ალასტაფამდეც თფილისიდანაც მიაქვთ. ასეთი წყალი, როგორც ვთქვით, რიგდება ვაგონობით. სადგურებზე ვაგონიდან ჩასცლიან ამოთხრილ ქვებში, სადაც ის მუდმივათ რჩება შიგ და ერთი ან ორი კვირის შემდეგ კიდევ უმატებენ ზევიდან წყალს, ასე რომ, მუშებს, როგორც ბინაზე, ისე სამუშაოზე, ამ აყროლებულ წყლის სმა უხდებათ. წარმოიდგინეთ მკითხველო, ზაფხულში ერთ დღესაც რომ ჩააყენოთ ბოთლში წყალი და სახლში შეინახოთ, ისიც კი კარგავს თავის გემოვნებას და ადამიანს მისი დალევა უძნელდება და ისეთი წყალი, რომელიც ერთი კვირა ვაგონში უნდა იდგეს და შემდეგ ამოთხრილ ქვაში ჩაასხან, რა, იქნება? მერე ისეთი ქვა, რომელიც სავსეა ბაყაყებით და ათასგვარი ჭიებით!!

ათასგვარ გაჭირვებასთან ერთათ მუშებს თავის დროზე სამგზავრო ბილეთებიც არ ეძლევათ სოფლიდან პურის ჩამოსატანათ და ამიტომაც უხდებათ ორი ან სამი კვირის გამომცხვარ დაობებულ პურის ჭამა. ეხლა მგონი მკითხველი დარწმუნდება იმაში, თუ რა საჭმელით და სასმელით იკვებება დღეს რემონტის მუშა. თქვენ აქ ნახავთ მუშებს ციებცხელებისაგან ჰირიანი ქათამივით აბურძგვნილს, რომლებიც იკვებებიან ზემოხსენებულ სასმელ-საჭმელისაგან. ბაქოს ლიანდაგის კატეგორიაში უნდა მოვაქციოთ ერევნისა და ჯულფის ლიანდაგებიც, რადგან ასევე მეორდება იქაც მუშების ტანჯვა. მაშ ზედმეტია ამ უკანასკნელზე ლაპარაკი. მხოლოდ დაწყებული სადგურ ახტალიდან ყარსამდე კარგი ჰავისა და ცივი წყლების წყალობით, მუშებს უადვილდებათ გამეფებულ რეჟიმს გაუძლონ. საერთოდ, მუშებმა თავიდან რომ აიცილონ მოსალოდნელი ავათმყოფობა და ტანჯვა, ცოტაოდნათ მაინც, ამისათვის საჭიროა: 1. ქონდეთ კარგი მოწყობილი აბანო, 2. ჰიგიენურათ მოწყობილი ბინები და სუფთა ახალი წყალი დასალევათ, და 3. ადამიანური მოპყრობა, როგორც უფროსებისაგან, ისე ექიმ ფერშლებისაგან; უნდა თავის დროზე მალ-მალ ეძლეოდეთ სამგზავრო ბილეთები სოფლიდან სანოვაგის ჩამოსატანათ, რითაც ცოტათ თუ ბევრათ შეიმსუბუქებენ თავიანთ ტანჯვას.

ი. გბდიდელი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ნება მომცეთ, თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი წერილი მოვათავსო.

გაზეთ „ხანგის“ მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული იყო წერილი ტრიფონ ჯაფარიძისა ჩემს შესახებ, თითქო მე გაჯავრებული იმით, რომ ჩემი მამული ხელში ჩაუვარდა ჯაფარიძეს, შეურაცხყოფა მიმეყენებინოს მისთვის და ამის გამო ის ხელისუფლებისთვის არ დარჩენილიყოს. .

აი რაში არის საქმე: 1907 წ. 16 იანვარს ჩემი მამული დარჩა სათავად-აზნაურო ბანკს. ტრიფონ ჯაფარიძე მეიჯარე კი არ არის ამ მამულისა, არამედ მოურავათ უყავს ბანკს და თუ წინათ ის, როგორც თითონ ამბობდა, გლეხებისთვის ზრუნავდა, დღეს მათ ცუდათ ეპყრობა. მის მიერ შევიწროებული გლეხები მოდიან ჩემთან, როგორც წინანდელ მამულის პატრონთან და მეხვეწებიან დავეხმარო. მეც შეძლების და გვარათ ვშველი მათ. აქ ნებას მივსცემ ჩემს თავს ტრიფონ ჯაფარიძის მოქმედებიდან მოვიყვანო ზოგიერთი მაგალითი: 7 კომლი გლეხი ბესო გელდიაშვილი, პავლე გოჩიაშვილი, ზალიკა და სანდრო ჩერქეზები, სოლო და იაგორა ბუხრიკიძეები და პავლე დაცაბიძე არიან ხიზნები და პაპიჩემის დროიდან სახლობენ ჩემს მამულში, მათ კანონის ძალით მემამულე მამულიდან ვერ აჰყრის, მამულს ვერ წაართმევს. ეს დადგენილია მომრიგებელ შუამავლის მიერ 1884 წ., რომლითაც მოვალენი ვართ არ დავუშალოთ მოხვნა-მოთესვა, საბალახო, წყალი, ტყე, მაგრამ ჯაფარიძეს ძალა აქვს ხელში და არც არაფერათ მიაჩნია კანონის გადაწყვეტილება. გლეხებს ჰყრის ადგილიდან, წაართვა მიწები. გლეხები მიდიან საჩივლელათ საგუბერნიო საკრებულოში, პოლიციაში მიხაილოვში, სადაც დღე არ გავა, რომ ვინმე ოსიაურელი და აზარმელი გლეხი არ გაიდახრს და სხ. შარშან ჯაფარიძემ წაართვა გუთნით მოხნული ხუთი დღის მიწა პავლე გოჩაშვილს და ზედ ხარებობა დღეს დათესა თავისთვის. დარჩა საწყალი კაცი 11 შვილის პატრონი უსიმინდო. როგორც იყო, მომრიგებელმა შუამავალმა წელს მიან ჯა ისევ ამ გლეხკაცს ხსენებული მამული. უბრძანა მამასახლისს, რომ თავს დასდგომოდა გლეხს და ნება არავისთვის მიეცა, რომ ვინმეს მასზე ძალადობა ეხმარა, რადგანაც ორთავე ძმები ტრიფონ და მელიტონ ჯაფარიძეები აშინებდნენ მოკვლით. თიბვის დროს, როცა გლეხი გულდამშვიდებული მუშაობდა, უეცრათ დაეცა თოფით მელიტონი. რომ ყოჩაღათ არ უოფილიყო მუშა, მოკლავდა კიდეც თოფით. ამ დროს ტრიფონმა ბოქაულიც ჩამოიყვანა, მაგრამ რას იზამდა, როცა თითონ პოლიციამ ჩააბარა ამ გლეხს ეს მიწები. ერთ დღეს, როცა მე ქადაგადებს გუშინჯაგდა განო ტუსიაშვილს, რომ ცემაც მთხოვა გამეშინჯა ხამუშში ნაყიდი ადგილისა, ამ დროს მომვარდა ტრიფონი უკანიდან და დამიწყო ხრჩობა სიტყვებით: „შენ მჯობნი იყრიდიყოდათ და მე მოგკლავ ფიზიკურათ, შენ მიშლი ამ საქმეს, თორემ როგორ მაჯობებენ გლეხებიო“. საშველათ რომ წამოდგენ ლექსო მარაბდელი და თითონ განო ტუსიაშვილი. იმათ დაუყვირა: არ მოხვიდეთ, თორემ რევოლვერს გესვრითო, რომ არა ჩემი მამამაც, ნამდვილათ დამახრჩობდა; ეს, რასაკვირველია, სადაც საჭირო იყო იქ ვაცნობე და თან „სუდში“ გზივი.

მამაპაპიდან მიცემულს საბალახოს ართმევს, ან ვის შეუძლია გაიაროს მამულში, რომელსაც პატრონობს ჯაფარიძე, ვაი იმას, ერთ სულ საქონელზე ახდევინებს სამ-ოთხ მანეთს, აცემინებს პოლიციაში, ერთი სიტყვით, ინკვიზაცია გაუმართა გლეხებს. საბალახოს თაობაზე აცემინა 8 გლეხი, თან ფულიც გადაახდევინა. ტყემლაძემ ეს უთხრა: „ფული ხომ გადაახდევინე, რა არის ასე ცემაო“, ამაზე ორთავე ძმები მივარდნენ შუა ბაზარში და ისე სცემეს, რომ ძლივს გაამშვლდეს საცოდავი კაცი. ეხლა მის საქციელის აწერა მეტათ ძნელია. არამც თუ ზემოხსენებულ გლეხებს, საზოგადოთ, ოსიაურში მცხოვრებლები, სოფ. აზარპის 14 კომლი, რომლებსაც უჭირავთ ბანკის მამული, დიდ გაჭირვებაშია მისგან. მიწის ზომას ერთი-ორათ უწერს. ქერი, შვრია, პურა მიაქვს, ცარიელ მიწებში ახდევინებს ფულს, ბევრსაც გაუთიბა და თითონ წაიღო და კაიდეწა თავისთვის. ბევრს მარცვალი რომ არ ეყო, ფქვილი წაართვა.

კონსტანტინე ვეზიროვი.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**


სასტუმრო

**„ბორჯომი“**

თფილისი, ვოგზლის ქ., № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.— 3 მან., თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა და ევგენი პერტენავა.** 4—4

**სიკვდილი ბალინჯოებს.**

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბალინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—18

**პროვოდნიკის**

**ამხანაგობა**

**რიგაში**

1888

1908 წ.

**საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის**

**თფილისში** სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდათ და ცალობით**

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

**ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო**

№ 2. **კალოშების „პროვოდნიკისა“**

(25—6.—32).